სსიპ - "დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო" აცხადებს ვაკანსიას: შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - **დასაქმების კონსულტანტის** პოზიციაზე.

თანამდებობრივი სარგო: **990 ლარი** (დარიცხული)

სამსახურის ადგილმდებარეობა:

- შიდა ქართლი: **გორი, ხაშური, ქარელი, კასპი.**
- სამცხე ჯავახეთის რეგიონი: **ახალქალაქის,ადიგენის,ასპინძის,ნინოწმინდის და ბორჯომის მუნიციპალიტეტები.**

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

ვაკანტური ადგილების რაოდენობა: თითოეულ მუნიციპლიტეტში თითო ვაკანტური ადგილი.

გამოსაცდელი ვადა : 6 თვე

ფუნქციები:

** შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, დამსაქმებელთა მაქსიმალურ რაოდენობასთან ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაცია და კოორდინირებული თანამშრომლობა;

** დამსაქმებლებთან აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობის საფუძველზე WORKNET-ზე შემოსული ვაკანსიების რაოდენობის გაზრდა;

** დამსაქმებლების ინტერესების გათვალისწინებით, მათი მოთხოვნების შესაფერისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე კადრების შერჩევის ხელშეწყობა, ვაკანსიის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მოპოვების საფუძველზე;

** სამუშაოს მაძიებლის რეგისტრაციისას მხარდაჭერა;

** სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირება სააგენტოს მიერ განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპების დაცვით და მათი პროფილირების შედეგების შესაბამისი ვაკანსიების შეთავაზება;

** სამუშაოს მაძიებელთა მხარდაჭერა სასურველ ვაკანსიებზე გამოხმაურების მიზნით;

** სააგენტოში რეგისტრირებული ვაკანტური პოზიციების ანალიზის მიზნით მონაცემთა დამუშავება;

** დასაქმების ბაზარზე არსებული სიტუაციური ანალიზისთვის საჭირო მონაცემების შეგროვება, დამუშავება და გადაგზავნა სერვის ცენტრის უფროსთან;

** ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით.

საკონკურსო თემატიკა:

** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 31 ოქტომბრის N 01-110/ნ ბრძანებით დამტკიცებული "სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს დებულება";

** საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №662 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე.

** საქართველოს კანონი დასაქმების ხელშეწყობის შესახებ.

** "დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის №81 დადგენილება.

მოთხოვნები:

** აუცილებელია ერთ წლიანი პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება;

** უმაღლესი განათლება, სასურველია სოციალურ მეცნიერებებში (სოციალური სამუშაო, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, განათლების მეცნიერება);

** სახელმწიფო ენის სრულყოფილი ცოდნა;

** სასურველია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;

** სამუშაო პროცესების ორგანიზებული, ჯეროვანი და დროული შესრულების უნარი.

** გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი.

** კლიენტთა მომსახურებისა და ინდივიდუალური კონსულტირების ძირითადი პრინციპების ცოდნა.

** საქმისადმი პასუხისმგებლობიანი დამოკიდებულება.

** ანალიტიკური აზროვნება.

** ეფექტური კომუნიკაციის უნარი.

** გადაწყვეტილების მიღების ფორმა

კონკურსის ეტაპები:

- რეზიუმეების გადარჩევა;
- გასაუბრება;

დაინტერესებულ პირებს CV-ის გამოგზავნა შეგიძლიათ 11 ნოემბრის ჩათვლით შემდეგ ელფოსტაზე : infosesa2022@gmail.com

გთხოვთ, თემის ველში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება და სასურველი მუნიციპალიტეტი.